ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

SMP220000806

N1-120/22

ქ. თბილისი 24 .03.2022 წ

ერთი მხრივ, შპს „საქართველოს მელიორაცია“
წარმოდგენილი ფინანსური დირექტორის მ/შ გიორგი ხმელიძის სახით (შემდგომში „შემსყდველი“),მისამართი:
ქ. თბილისი, გ . გულუას ქ. N6
საიდენტიფიკაციო კოდი: 204524568
მიმღების ბანკი: ს/ს ,,თიბისი ბანკი”
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE42TB7484 7360 2010 0003

მეორე მხრივ, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ (შემდგომში „მიმწოდებელი“)
წარმოდგენილი: პროექტების მართვისა და გაყიდვების სამსახურის სპეციალისტი (პროექტების მართვისა და გაყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი) მარიამ ტურაშვილის სახით
საიდენტიფიკაციო კოდი: 202238621
მისამართი: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქუჩა №22;
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი/სახაზინო კოდი: 707427519

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის, „ა” ქვეპუნქტის შესაბამისად (გამარტივებული შესყიდვის საშუალებით) და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის N8-4716 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას (შპს საქართველოს მელიორაცია).

1.2. “მიმწოდებელი” (შემდგომში „მიმწოდებელი“) ნიშნავს პირს, რომელმაც გააფორმა შემსყიდველ ორგანიზაციასთან ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო).

1.3. “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ “ხელშეკრულება”) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, მასზე თანდართული დოკუმენტით - დანართი N1.

1.4. “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანის წარმოადგენს:

- <u>სააგენტოს ერთიანი მონაცემთა ბაზიდან უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში დაცული ინფორმაციის მიწოდების სერვისით შემსყიდველის უზრუნველყოფის მომსახურების შესყიდვა, არაუმეტეს 12200 ტრანზაქციის ოდენობით</u>.
- CPV კოდი: 72321000.

2.2. ამ მუხლის 1.1. პუნქტში მითითებული ინფორმაციის მიწოდების პროცესი და მისი მახასიათებლები აღწერილია ხელშეკრულების დანართში №1;

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება <u>კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს 2196.00 (ორი ათას ას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს</u>.

3.2. ერთი ერთეული ტრანზაქციის ღირებულება განისაზღვრება:

3.2.1. 30,000 ტრანზაქციამდე - თითოეულ ტრანზაქციაზე 18 თეთრი;

3.2.2. 30,000-დან 100,000 ტრანზაქციამდე - თითოეულ ტრანზაქციაზე 17 თეთრი;

3.2.3. 100,000-დან 500,000 ტრანზაქციამდე - თითოეულ ტრანზაქციაზე 16 თეთრი;

3.2.4. 500,000-დან 1,000,000 ტრანზაქციამდე - თითოეულ ტრანზაქციაზე 14 თეთრი;

3.2.5. 1,000,000 ტრანზაქციაზე მეტი - თითოეულ ტრანზაქციაზე 12 თეთრი;

3.2.6. ელექტრონული დასტური ,,მონაცემი არ მოიძებნა“ – თითოეულ ტრანზაქციაზე – 2 თეთრი;

3.2.7. ელექტრონული დასტური „შეცდომა მონაცემთა ბაზის მხრიდან“ – თითოეულ ტრანზაქციაზე – 0 თეთრი.

3.2.8. ტრანზაქციების საერთო რაოდენობის დათვლაში მონაწილეობს ყველა სახის ტრანზაქცია.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

4.1. ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება ყოველთვიურად, უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში – ლარში, მხარეთა შორის ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ანგარიშსწორებისთვის აუცილებელი დოკუმენტების სრულყოფილად გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

4.2. თუ „შემსყიდველი“ სადავოდ ხდის აღრიცხული მომსახურების რაოდენობის ან/და გადასახდელი თანხის ნაწილს, იგი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადაიხადოს იმ მომსახურების ღირებულება, რომელიც სადავო არ არის. დავის გადაწყვეტიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი, ხელშეკრულების 10.2 პუნქტით გათვალისწინებულ პირებს შორის, სადავო თანხის შეთანხმებულ ოდენობაზე, რომლის საფუძველზეც განხორციელდება გადახდა 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4.3. დაფინანსების წყარო: შპს საქართველოს მელიორაციის საკუთარი სახსრები.

4.4. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4.5. მომსახურების გაწევის პერიოდი: **<u>2022 წლის 01 აპრილიდან - 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით.</u>**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი:

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით;

5.2. მომსახურების მიღება-ჩაბარება იწარმოებს ყოველთვიურად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განახორციელებს და შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას უზრუნველყოფს: საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

6. კავშირის უზრუნველყოფა და ინფორმაციის მიწოდების წესი

6.1. შემსყიდველს ინფორმაცია მიეწოდება მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის მეშვეობით.

6.2. დახურული კერძო ქსელის აგებისას, შიფრაციის პროტოკოლის შეთანხმება ხდება მხარეების მიერ შეთანხმებით განსაზღვრულ ტექნიკურ ჯგუფებთან.

6.3. ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის მეშვეობით №1 დანართის შესაბამისად.

6.4. შემსყიდველი ვალდებულია საჯარო რეესტრის ერთიან მონაცემთა ბაზიდან მიღებულ ინფორმაციაზე წვდომისა და ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნით, ინფორმაციის გამოყენების უფლებამოსილება მიანიჭოს შპს საქართველოს მელიორაციის (შემსყიდველის) თანამშრომლებს. შემსყიდველის მხრიდან არაავტორიზებულ ან არასანქცირებულ წვდომაზე, ასევე, ასეთი წვდომის შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველს კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

6.5. მომსახურების გაწევის პროცესში მიმწოდებელი უფლებამოსილია შეაჩეროს მომსახურების მიწოდება იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების გაფორმების ეტაპზე ნაზრდი ჯამით გაწეული მომსახურების ღირებულებასა და ხელშეკრულების ღირებულებას შორის სხვაობა ნაკლები იქნება მიმდინარე საანგარიშგებო თვეში გაწეული მომსახურების ღირებულებაზე ან თუ მიღება-ჩაბარების გაფორმების ეტაპზე სულ ხელშეკრულების გაფორმებიდან გამოყენებული ტრანზაქციების რაოდენობასა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მაქსიმალური ტრანზაქციების რაოდენობას შორის სხვაობა ნაკლები იქნება მიმდინარე საანგარიშგებო თვეში გამოყენებულ ტრანზაქციების რაოდენობაზე.

7. ინფორმაციის გამოთხოვისა და მიწოდების აღრიცხვა

7.1. მხარეები ვალდებული არიან აწარმოონ ინფორმაციის გამოთხოვისა და მიწოდების ელექტრონული აღრიცხვა.

7.2. სააგენტოსა და შპს საქართველოს მელიორაციის ინფორმირების მიზნით, ციფრული მმართველობის სააგენტო, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, აღრიცხავს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის მეშვეობით ინფორმაციის გამოთხოვის საერთო რაოდენობას, ასევე, თითოეული მოთხოვნის შემოსვლის და გაგზავნის დროს.

7.3. ციფრული მმართველობის სააგენტო, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის მეშვეობით, ყოველ წარმატებულად განხორციელებულ გზავნილს (გზავნილი, რომელიც უშეცდომოდ დამუშავდა სააგენტოსა და ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ) ანიჭებს უნიკალურ იდენტიფიკატორს, რომლის მეშვეობითაც ხდება თითოეული მოთხოვნა-პასუხის იდენტიფიკაცია.

7.4. ელექტრონული შეტყობინება გაგზავნილად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც იგი გადის გამგზავნის კონტროლის არედან. კონტროლის არედან გასვლაში იგულისხმება ელექტრონული შეტყობინების უკან დაბრუნების, მასში ცვლილების შეტანის ან გაუქმების შეუძლებლობა.

7.5. შემსყიდველის მიერ სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან ინფორმაცია გამოთხოვნილად ითვლება, თუ სააგენტოს მიერ აღრიცხულ იქნა შემსყიდველისათვის ინფორმაციის გაგზავნა ან/და შემსყიდველის მიერ აღრიცხულ იქნა ინფორმაციის მიღება.

7.6. ელექტრონული შეტყობინების გაგზავნისას/მიღებისას უნდა დარჩეს ამ შეტყობინების გაგზავნის/მიღების დასაბუთება (დასტური), რომელიც შეიძლება არსებობდეს ელექტრონული შეტყობინების ან ქაღალდის დოკუმენტის სახით.

7.7. ელექტრონული შეტყობინების გაგზავნის/მიღების წესი და პირობები განისაზღვრება ხელშეკრულების №1 დანართით.

7.8. სააგენტოსათვის ინფორმაციის მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირს შემსყიდველის მხრიდან წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი (ტელ.: 599 777 666; ელ.ფოსტა: E.Gvianidze@ag.ge).

8. ელექტრონული შეტყობინების იურიდიული ძალა

8.1. მხარეები ადასტურებენ, რომ მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის საშუალებებით მიღებულ ელექტრონულ შეტყობინებებს (კერძოდ, რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე რეესტრში დაცული ინფორმაციის შესახებ ელექტრონულ შეტყობინებებს) აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც წერილობითი ფორმით წარდგენილ, პირადი ხელმოწერით, ხოლო ბეჭდის არსებობის შემთხვევაში, ასევე ბეჭდით დამოწმებულ დოკუმენტს.

9. მხარეთა ზოგადი სახელშეკრულებო ვალდებულებები

9.1. მხარეები ვალდებულნი არიან:

9.1.1. ხელშეკრულების პირობები შეასრულონ კეთილსინდისიერად და ჯეროვნად, მხარეთა თანამშრომლობისა და გულისხმიერების პრინციპებზე დაყრდნობით;

9.1.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ითანამშრომლონ ერთმანეთთან კონსულტაციისა და ურთიერთდახმარების სხვა მეთოდებით.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

10.1. მიმწოდებელი (სააგენტო) ვალდებულია:

10.1.1. შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით ინფორმაციის გამოთხოვისთანავე, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, უზრუნველყოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული ინფორმაციის მიწოდება ციფრული მმართველობის სააგენტოსათვის ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით და №1 დანართის შესაბამისად. ციფრული მმართველობის სააგენტო, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის გადაგზავნას შემსყიდველისათვის;

10.1.2. უზრუნველყოს შემსყიდველისათვის მიწოდებულ და მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცულ ინფორმაციას შორის სისწორე და ურთიერთშესაბამისობა;

10.1.3. განახორციელოს ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

10.1.4. არ დაუშვას ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით შემსყიდველისაგან მიღებული ინფორმაციის გადაცემა ან სხვაგვარი ხელმისაწვდომობა მესამე პირებისათვის (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა), როგორც ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ისე მისი დასრულების შემდგომ;

10.1.5. ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში და წესით გამოსცეს შემსყიდველს აუთენტიფიკაციისათვის საჭირო ელექტრონული სერტიფიკატი ან მოამზადოს მომხმარებლის სახელი და პაროლი, რომელიც ამ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის შესაბამისად, შეთანხმებული იქნება მხარეების ტექნიკურ ჯგუფებთან;

10.1.6. საკუთარი ინფრასტრუქტურის წვდომაზე წინასწარ ცნობილი შეფერხების თაობაზე აცნობოს სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოსა და შპს საქართველოს მელიორაციას, შეფერხებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;

10.1.7. სისტემაში ტექნიკური დაზიანებების წარმოშობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს (წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტით) შემსყიდველს აღნიშნულის თაობაზე და მაქსიმალურად მოკლე დროში აღმოფხვრას დაზიანება.

10.2. მიმწოდებელი (სააგენტო) უფლებამოსილია:

10.2.1. განახორციელოს ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის მეშვეობით შემსყიდველისათვის ინფორმაციის მიწოდების მონიტორინგი და შეამოწმოს აღრიცხვიანობა;

10.2.2. შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგისთვის აუცილებელი ინფორმაციის წარმოდგენა;

10.2.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგის მიზნით და მის ფარგლებში შემოიღოს მონიტორინგის დამატებითი ფორმები;

10.2.4. მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით ინფორმაციის მიწოდებისთვის დადგენილი საფასურის გადახდა.

10.3. შპს საქართველოს მელიორაცია ვალდებულია:

10.3.1. განახორციელოს ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები;

10.3.2. არ გაასხვისოს სააგენტოსგან მიღებული ინფორმაცია მესამე პირზე პირდაპირი ან ნებისმიერი სხვა (სახეშეცვლილი/სისტემატიზებული ან სხვაგვარად ხელმისაწვდომი ა.შ.) ფორმით. ასევე, არ დაუშვას სააგენტოსგან მიღებული ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული ვალდებულება სამსახურს ეკისრება როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, ისე მისი ვადის გასვლის შემდგომ.

10.3.3. უზრუნველყოს სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით ინფორმაციის გამოთხოვა მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნისთვის და იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია ამ კანონიერი მიზნის მისაღწევად.

10.3.4. გამოთხოვილი მონაცემების დაცვის მიზნით, მიიღოს უსაფრთხოების შესაბამისი ზომები მათი შემთხვევითი თუ არასანქცირებული დარღვევის, შემთხვევითი დაკარგვის, ასევე, მათთან არასანქცირებული შეღწევის, შეცვლის ან გავრცელების წინააღმდეგ. ასევე, არ დაუშვას მათი გამოყენება კანონიერ მიზნებთან (კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ მიზნებთან) შეუთავსებელი გზით.

10.3.5. არ მოახდინოს სააგენტოს მონაცემთა ბაზიდან (მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის მეშვეობით) მიღებული ინფორმაციის დუბლირებული მონაცემთა ბაზის შექმნა.

10.3.6. დაიცვას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების პრინციპები;

10.3.7. არ გამოითხოვოს ინფორმაცია იმ ამოცანის მისაღწევად, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით;

10.3.8. უზრუნველყოს მიღებული მონაცემების დაცვა იმ ფორმით, რომელიც იძლევა მონაცემთა სუბიექტის/ობიექტის იდენტიფიკაციის საშუალებას მხოლოდ იმ დროში, რაც საჭიროა იმ კანონიერი მიზნებისათვის, რისთვისაც ინახება ეს მონაცემები.

10.3.9. გადაიხადოს ხელშეკრულებით ინფორმაციის მიწოდებისთვის დადგენილი საფასური.

10.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:

10.4.1. მონაცემთა სუბიექტის/ობიექტის შესახებ გადამოწმებულ მონაცემებში აღმოჩენილი ურთიერთშეუსაბამობის ან ამგვარი სუბიექტის/ობიექტის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში, დაუკავშირდეს სააგენტოს უფლებამოსილ პირს და მიიღოს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით გამოსათხოვი ინფორმაციის სუბიექტის/ობიექტის იდენტიფიკაციისთვის საჭირო ინფორმაცია ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით და ფარგლებში;

10.4.2. სააგენტოს მოსთხოვოს ხელშეკრულების 6.2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის აღრიცხვის მონაცემების წარმოდგენა მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში მოთხოვნის შესაბამისი ფორმით.

11. მხარეთა კომუნიკაციის პირობები

11.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებზე მხარეთა უფლებამოსილი პირები არიან: სააგენტოს მხრიდან მარიამ ტურაშვილი – პროექტების მართვისა და გაყიდვების სამსხურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი (ტელ.: 551 12 07 06; ელ. ფოსტა mturashvili@napr.gov.ge); ხოლო შემსყიდველის მხრიდან საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი: ელდარ გვიანიძე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი. (ტელ: 599 777 666; ელ.ფოსტა: E.Gvianidze@ag.ge)

11.2. გაწეული მომსახურებისა და ანგარიშსწორების შესახებ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირები არიან: სააგენტოს მხრიდან – საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსი: ხათუნა გოგოხია (ტელ: 2 25 15 27; ელ. ფოსტა: kgogokhia@napr.gov.ge), ხოლო შემსყიდველის მხრიდან: საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი: ელდარ გვიანიძე (ტელ: 599 777 666; ელ.ფოსტა: E.Gvianidze@ag.ge), ან მისი მოვალეობის შემსრულებელი;

11.3. მხარეები ერთმანეთის ინფორმირებას ახდენენ ხელშეკრულებაში მითითებული ელ. ფოსტის, სატელეფონო ან/და წერილობითი შეტყობინებების გამოყენებით.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

12.1. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო.

12.2. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.3. მხარეები იხსნიან პასუხისმგებლობას ფორსმაჟორული გარემოებების წარმოშობის შედეგად ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვან შესრულებაზე.

12.4. სააგენტო არ არის პასუხისმგებელი მომსახურების მიღების იმგვარ შეფერხებაზე, რომელიც გამოწვეულია შემსყიდველის ტექნიკისა თუ ქსელის გაუმართაობის საფუძვლით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შეწყვეტის წესი და ცვლილებები ხელშეკრულებაში

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ამოქმედდება ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2022 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ურთიერთშეთანხმებით. შეწყვეტა შესაძლებელია ასევე, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, უპირობოდ, ნებისმიერ დროს, ხელშეკრულების დანარჩენ მხარეთათვის შეწყვეტამდე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. აღნიშნული ვადის გასვლისთანავე ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად.

13.3. ამ მუხლით დადგენილი წესით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ანგარიშსწორება განხორციელდება მიწოდებული მომსახურების შესაბამისად.

13.4. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით. ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

14. ხელშეკრულების დამატებითი პირობები

14.1. ამ ხელშეკრულების დანართი №1, ასევე, მომავალში ხელშეკრულებით და კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად განსაზღვრული დანართები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
მის: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქუჩა №22; საიდენტიფიკაციო ნომერი: 202238621
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი/სახაზინო კოდი: 707427519

შპს „საქართველოს მელიორაცია“ – მისამართი: ქ. თბილისი, გულუას ქ. N6, საიდენტიფიკაციო კოდი: 204524568 მიმღების ბანკი:
ს/ს ,,თიბისი ბანკი”
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE42TB7484 7360 2010 0003

სსიპ ,,საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“
პროექტების მართვისა და გაყიდვების სამსახურის
სპეციალისტი (პროექტების მართვისა და გაყიდვების
სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

——————————————— /მარიამ ტურაშვილი/

შპს ,,საქართველოს მელიორაცია“
ფინანსური დირექტორის მ/შ

———————————————/გიორგი ხმელიძე/

Georgian Amelioration LLC

Digitally signed by Georgian Amelioration LLC
Date: 2022.03.24 11:49:21 +04'00'

დანართი №1

უძრავი ქონების ძებნის ვებ–სერვისის (property-finder) აღწერა

სერვისის ფუნქციების აღწერა:

- findProperty - პიროვნების პირადი ნომრის ან საიდენტიფიკაციო კოდის მიხედვით აბრუნებს მის უძრავ ქონებას.
- findPropertyByCadCode - უძრავი ქონების საკადასტრო კოდით აბრუნებს უძრავ ქონებას.
- findPropertyGeoPosition – უძრავი ქონების საკადასტრო კოდით, აბრუნებს მის გეოგრაფიულ კორდინატებს (გრძედი, განედი).
- getLastExtractFile – უძრავი ქონების საკადასტრო კოდით, აბრუნებს ამ უძრავი ქონების მიმართ მომზადებულ ბოლო ამონაწერს.
- CadOperationHistory-უძრავი ქონების საკადასტრო კოდით აბრუნებს საკადასტრო კოდის ოპერაციის ისტორიას

findProperty ფუნქციის პარამეტრების აღწერა

IN

- FinderRequest
- IdNumber – პირადი ნომერი ან საიდენტიფიკაციო კოდი.
- ClientRequestId – კლიენტის მოთხოვნის უნიკალური იდენტიფიკატორი.
- DeaRequestId – მონაცემთა გაცვლის (DGA) მოთხოვნის უნიკალური იდენტიფიკატორი.
- Username - მომხმარებელი.
- Password - პაროლი.
- from - მოძებნილი ჩანაწერის რიგითი ნომერი –დან, ბიჯი 50. აბრუნებს მითითებული ნომრიდან შემდეგ 50 ჩანაწერს. თუ არ გადაეცემა პარამეტრი აბრუნებს 0–დან 50 ჩანაწერს.

OUT

- FinderResponse
- Count - მოძებნილი ჩანაწერების სრული რაოდენობა
- PropertyList - უძრავი ქონების სია
- NaprResponseId – რეესტრის პასუხის უნიკალური ნომერი.
- Property
- PropertyType - ქონების ტიპი (იხილეთ დანართი ცხრილი 1)

- CadCode – საკადასტრო კოდი
- Address – მისამართი
- ZoneName – ზონის სახელი
- SectorName – სექტორის დასახელება
- R_StartDate - უფლების რეგისტრაციის თარიღი
- R_RegNumber - -უფლების რეგისტრაციის ნომერი

- RegNumber – განცხადების რეგისტრაციის ნომერი

- ParcelFunction – მიწის ფუნქცია

- Parcel – ნაკვეთის აღწერა

- OwnType – საკუთრების ტიპი (იხილეთ დანართი ცხრილი 2)

- o LandType – მიწის ფუნქცია (იხილეთ დანართი ცხრილი 3)

- o AreaDocumented – დაუზუსტებელი ფართი

- AreaMeasured – დაზუსტებული ფართი

- o Unit – საზომი ერთეული

- PrevParcelNo – ნაკვეთის წინა ნომერი
- BlockList – შენობის ჩამონათვალი
- WrBlockList – შენობის ჩამონათვალი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე
- BlockTotalArea – შენობის საერთო ფართი
- BlockLivingArea – შენობის საცხოვრებელი ფართი
- WrBlockArea – შენობის საცხოვრებელი ფართი დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე
- BlockSuppArea – დამხმარე ფართი
- BlockFarmArea – საზაფხულო ფართი
- BlockOther – სხვა ფართი
    - OwnershipInfos – მფლობელების შესახებ ინფორმაცია
- OwnershipInfo - ინფორმაცია მფლობელზე
    - Description - ფართის აღწერა
    - Owners - მფლობელები
        - Owner - მფლობელი
- Idnumber - პირადი ნომერი
- PersonName - სახელი/გვარი
- Flat – ბინის აღწერა
- RecordNumber – ჩანაწერის რიგითი ნომერი
- Portions – წილები
- OwnerType – საკუთრების ტიპი (იხილეთ დანართი ცხრილი 2)
- o CadType – ფართის ტიპი (იხილეთ დანართი ცხრილი 4)
- o EnterNo – სადარბაზო
- o FloorNo – სართული
- o FlatNo – ბინის ნომერი
- o FlatArea – ბინის ფართობი
- AltNumber - ალტერნატიული ბინის ნომერი
- o Nominator –წილის მრიცხველი
- o Denominator – წილის მნიშვნელი
- o BuildStatusName – მდგომარეობა (მშენებარე თუ დასრულებული)
- LineObject –
- o LineObjTypeName – ხაზოვანი ობიექტის ტიპი (იხილეთ დანართი ცხრილი 5)
- o ObjLength – ხაზოვანი ობიექტის სიგრძე

- Unit – ერთეული
- ObjDescription – ობიექტის აღწერა
- CoveredZones – დაფარვის ზონა
- OwntypeName – საკუთრების ტიპი (იხილეთ დანართი ცხრილი 2)
  - OwnerList – მესაკუთრეების სია.
- Owner - მესაკუთრე
- PersonName – სახელი, გვარი / დასახელება.
- IdNumber – პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი.
- PersonType – სახელი გვარი
- FirstName – სახელი
- LastName – გვარი
- OrgName – ორგანიზაციის დასახელება
- OrgTaxId – ორგანიზაციის ს/ნ
- CountryId – ქვეყნის აიდი
- CountryName – ქვეყნის დასახელება
- Restrict - შეზღუდვა
- o RegNumber - განცხადების რეგ. ნომერი
- AppId - განაცხადის ნომერი
- o RsStyle - შეზღუდვის ტიპის იდენტ. (იხილეთ დანართი ცხრილი 6)
- o RsStyleName - შეზღუდვის ტიპი
- StartDate - განცხადების რეგ. თარიღი
- o ValSubject - საგანი
- AddCircumstances - დამატებითი გარემოება
- AddConditions - დამატებითი პირობა
- FinalDate - საბოლოო თარიღი
- Period - პერიოდი
- PeriodType - პერიოდის ტიპი
- o RestrictPerson - მონაწილე პირები
- SrPrsnTypeName - მონაწილეობის ტიპი (იხილეთ დანართი ცხრილი 7)
- FirstName - სახელი
- LastName - გვარი
- Idnumber - პ/ნ

- OrgTaxIdnumber - ს/ნ
- OrgName - დასახელება

- GeoPosition
- latitude - გრძედი
    - longitute - განედი

findPropertyByCadCode ფუნქციის პარამეტრების აღწერა

IN

- FinderCadCodeRequest
- cadCode - საკადასტრო კოდი.
- ClientRequestId – კლიენტის მოთხოვნის უნიკალური იდენტიფიკატორი.
- DeaRequestId – მონაცემთა გაცვლის (DGA) მოთხოვნის უნიკალური იდენტიფიკატორი.
- Username - მომხმარებელი.
- Password - პაროლი

OUT

- იხილეთ findProperty მეთოდის რეზულტატი.

findPropertyGeoPosition ფუნქციის პარამეტრების აღწერა

IN

- FinderCadCodeRequest
- cadCode - საკადასტრო კოდი.
- ClientRequestId – კლიენტის მოთხოვნის უნიკალური იდენტიფიკატორი.
- DeaRequestId – მონაცემთა გაცვლის (DGA) მოთხოვნის უნიკალური იდენტიფიკატორი.
- Username - მომხმარებელი.
- Password - პაროლი

OUT

- GeoPositionResponse
- NaprResponseId – რეესტრის პასუხის უნიკალური ნომერი.
- GeoPosition
    - latitude - გრძედი
- longitute - განედი

getLastExtractFile ფუნქციის პარამეტრების აღწერა

IN

- FinderCadCodeRequest
- cadCode - საკადასტრო კოდი.
- ClientRequestId – კლიენტის მოთხოვნის უნიკალური იდენტიფიკატორი.
- DeaRequestId – მონაცემთა გაცვლის (DGA) მოთხოვნის უნიკალური იდენტიფიკატორი.
- Username - მომხმარებელი.
- Password - პაროლი

OUT

- ExtractFileResponse
- NaprResponseId – რეესტრის პასუხის უნიკალური ნომერი.
- fileContent – ფაილი
- mimeType – ფაილის ტიპი

CadOperationHistory ფუნქციის პარამეტრების აღწერა

In

- cadCode - საკადასტრო კოდი
- Username - მომხმარებლის სახელი
- Password - მომხმარებლის პაროლი

Out

- CadOperationHistoryList - ოპერაციების სია
- CadOperationHistory - ერთეული ოპერაციის ჩანაწერი
- oldCadcode> - ძველი საკადასტრო კოდი
- newCadcode - ახალი საკადასტრო კოდი
- cadOpername - ოპერაციის ტიპი
  cadOperid - ოპერაციის ID
- createDate - ოპერაციის თარიღი
- Note - შენიშვნა

დანართი / ცნობარები

ცხრილი 1: ქონების ტიპები

N	PropertyType
1.	სხვენი
2.	სარდაფი
3.	ავტოფარეხი/ავტოსადგომი
4.	ტექნიკური სართული
5.	ტერასა/ვერანდა
6.	სხვა
7.	სახლი/ბინა
8.	მიწა

ცხრილი 2: საკუთრების ტიპი

N	OwnType
1.	უ.დ.დ.-ის გარეშე
2.	საერთო საკუთრება თანასაკუთრების უფლებით
3.	თანასაკუთრება
4.	თვითმმართველი ერთეულის საკუთრება
5.	სახელმწიფო-ადგილობრივი საკუთრება
6.	საკუთრება
7.	საკუთრება
8.	თანასაკუთრება
9.	საერთო სარგებლობა
10.	ინდივიდუალური საკუთრება
11.	სახელმწიფო საკუთრება
12.	საერთო საკუთრება მეზობლებთან
13.	საერთო საკუთრება ერთ მეზობელთან
14.	
15.	იჯარა (დროებითი)
16.	საერთო სარგებლობაში ორ მეზობელთან
17.	საერთო სარგებლობა ერთ მეზობელთან
18.	–

ცხრილი 3: მიწის ფუნქცია

N	LandType
1.	ორგანიზაცია-დაწესებულება

2.	არასასოფლო სამეურნეო (სახელმწიფო ტყის ფონდი)
3.	დაუზუსტებელი
4.	სასოფლო-სამეურნეო (სახელმწიფო დაცული ტერიტორია)
5.	არასასოფლო სამეურნეო (სახელმწიფო დაცული ტერიტორია)
6.	სასოფლო-სამეურნეო (სახელმწიფო ტყის ფონდი)
7.	არაიდენტიფიცირებული

ცხრილი 4: ფართის ტიპი

N	OwnType
1.	–
2.	ნაკვეთი
3.	სექტორი
4.	ზონა
5.	შენობა
6.	ძველი ბინა
7.	კვარტალი
8.	ბლოკი
9.	ბინა/ერთეული
10.	ხაზოვანი სექტორი
11.	სააღნაგე ჯგუფი
12.	სააღნაგე ობიექტი
13.	ხაზოვანი ობიექტი
14.	იტალიური ფართი
15.	სადარბაზო
16.	ტყის ფონდის სექტორი
17.	ტყის ფონდის ობიექტი
18.	ტყის ფონდი ზონა
19.	გაუქმებულთა ზონა
20.	უდნ-ს ზონა
21.	უდნ-ს სექტორი
22.	უდნ-ს ნაკვეთი

ცხრილი 5: ხაზოვანი ობიექტის ტიპები

N	LineObjTypeName
1.	საკომუნიკაციო ნაგებობა
2.	საავტომობილო გზა
3.	რკინიგზა
4.	მილსადენი
5.	გვირაბი
6.	საჰაერო-საბაგირო გზა
7.	კავშირგაბმულობის ხაზი
8.	ფუნიკულიორი
9.	დამბა
10.	ელექტროგადამცემი ხაზი
11.	არხი
12.	ხიდი

ცხრილი 6: შეზღუდვის ტიპი

N	RsStyle
1.	ყადაღა
2.	საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა
3.	მოვალე
4.	აკრძალვა
5.	პარტნიორის წილზე გირავნობის უფლება
6.	გირავნობა ლიზინგი

ცხრილი 7: მონაწილეობის ტიპი

N	SrPrsnTypeName
1.	იპოთეკარი
2.	მესაკუთრე
3.	სავარაუდო მოვალე III პირი
4.	მოიჯარე
5.	უზუფრუქტუარი
6.	სარჩენი
7.	მოაღნაგე
8.	მყიდველი
9.	გამყიდველი
10.	დამქირავებელი
11.	გამქირავებელი
12.	მსესხებელი
13.	მეიჯარე
14.	მეაღნაგე
15.	მოვალე
16.	მარჩენალი
17.	ვალდებული
18.	მოგირავნე
19.	დამგირავებელი
20.	ქვემოქირავნე
21.	დამკვეთი
22.	მენარდე
23.	მევალე
24.	მოსარგებლე
25.	მსესხებელი-მყიდველი
26.	მესაკუთრე-გამყიდველი
27.	მესაკუთრე-მჩუქებელი
28.	დასაჩუქრებული
29.	პრინციპალი
30.	ბენეფიციარი
31.	ქვეგამქირავებელი
32.	მონათხოვრე
33.	მესამე მხარე
34.	ქვემეიჯარე

35.	ქვემოიჯარე
36.	მომავალი მესაკუთრე
37.	"ბე"-ს მიმცემი
38.	"ბე"-ს მიმღები
39.	პირველი მხარე
40.	მეორე მხარე
41.	მჩუქებელი
42.	უფლებამოსილი პირი
43.	გამნათხოვრებელი
44.	გამოსყიდვის უფლების მქონე პირი
45.	მესაკუთრე-მოაღნაგე
46.	ფაქტობრივი მფლობელი
47.	აღნაგობის უფლების მქონე პირი
48.	მიწის მესაკუთრე
49.	მესაკუთრე (აღნაგობის უფლების საფუძველზე)
50.	მომავალი მესაკუთრე(აღნაგობის უფლების საფუძველზე)
51.	მყიდველი (აღნაგობის უფლების საფუძველზე)
52.	გამყიდველი (აღნაგობის უფლების საფუძველზე)